


საქართველო



მ რ ბ ა ნ მ ე რ ო ვ ე უ ლ - დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ პ ა რ ტ ი ი ს ა

« SAKARTUELLO »

« LA GEORGIE » Organe du Parti-National-Démocrate géorgien

რუსეთი და საქართველო

რუსეთი—დამბყრობი ქვეყანა, საქართველო—დაბყრობილი. შეტაკება და წინააღმდეგობა ამ ორი ქვეყნის პოლიტიკისა ცხადია და აუცილებელი.

სწორედ ეს მოხდა ვლახან ქვეყანაში.

იქ ჩამოვიდა ბ. ლიტვინოვი, წარმომადგენელი საბჭოთა კავშირისა.

ერთა ლიგამ კარგად იცის, თუ რა ტრაგედია დაპტრი-ალდა საქართველოში ამ ათი წლის წინედ, თუ რა ვერაგულად თავს დაესხა მას საბჭოთა რუსეთი და ბოლო მოუღო მის დამოუკიდებლობას. უკვე საერთაშორისოდ ცნობილს და აღიარებულს; მან კარგად იცის ბედი აზერბეიჯანის, სომხეთის და ჩრდილო კავკასიის; კარგად იცის, რომ ყველა ამ ქვეყნებში პწარმოებს შეურთებელი ბრძოლა შემოსეულ ურ-დოების წინააღმდეგ, იღვრება სისხლი და ამ სისხლის ღვრას არ უჩანს ბოლო, სანამ რუსეთის ლაშქარი გაყვანილი არ იქნება ამ ქვეყნებიდან... მიუხედავად ამისა ბ. ლიტვინოვი მაინც შემოძვრა სავერობიო კომისიაში.

ვლახანდელი რუსეთი მკვლელია ხალხთა თავისუფლების, და როცა ამ ხალხთა თავის ზევით რუსეთს ელაპარაკებიან და თავაზიანად იწვევენ მის წარმომადგენელს, დატანჯულ და მებრძოლ ხალხთა თვალი ეკითხება ვეროების მიმუნჯებულ პორიონტს: რაშია საქმე?! რუსეთის მოწვევა ერთა ლიგის კომისიაში განა არ პწინავეს ერთნაირ პატიებას და დავიწყებ-ბას იმ საერთაშორისო მკვლელობისას, რაც რუსეთმა ჩაი-დინა ამდენ თავისუფალ ხალხთა მიმართ?!

ესეც ცოტაა. დამონებული ერები კარგად პხედავენ, რომ პხედება ინტერვენცია, მაგრამ არა მათ სასარგებლოდ და მათი შელახულ უფლებათა აღსადგენად, არამედ ვლახანდელი რუსეთის აგრესიული და ბანდიტური პოლიტიკის გასამაგ-

რებლად. ბანდიტობა იყო საქართველოზე და საზოგადოდ კავკასიაზე თავდასხმა. ამ თავდასხმით რუსეთმა არა მარტო დაანგრია კავკასიის თავისუფალი რესპუბლიკები, იმან ხელ-ში ჩაიგდო ტერიტორია და აუარებელი სიმდიდრე ამ მდი-დარი ქვეყნისა: ნავთი და მარგანეცი. ამ სიმდიდრეს ამუშავებს და ატრიალებს ეხლა მოსკოვის მთავრობა და ამ იარაღით, ჩვენი იარაღით, ჩვენვე გვანჩობს და გვიწმობს ყოველ გამო-სავალს ხსენისა და განახლებისაკენ.

ვერობამ კარგად იცის ეს. ვერობამ იცის, რომ ნავთი, მარგანეცი და ბევრი სხვა სიმდიდრეც, მოპოებული თავდა-სხმით და ბანდიტობით, ნაქურდალი ქონებაა საბჭოთა მთავ-რობის ხელში; კარგად იცის, რომ ეს ქონება ეკუთვნის კავ-კასიის ერებს, მაინც მხარს უჭერს და ამარგებს მოსკოვის მთავრობას. ზოგიერთი განათლებული სახელმწიფო პყიდუ-ლობს იაფად ამ ნაქურდალ ქონებას და მის დასამუშავებლად განუწყვეტლივ აწვდის მოსკოვის მთავრობას მანქანებს, ტე-ხნიკოსებს, სპეციალისტებს და ფულსაც კი. ჯერ ინგლისმა გაუხსნა მოსკოვს დიდძალი კრედიტი, მერე გერმანიამ, მერე იტალიამ... ვინ იცის, ხვალ შეიძლება სხვებმაც გაუხსნან... გამოდის, ჩვენვე ქონებით გვანჩობენ ჩვენ და ამ დახრჩო-ბაში ენერგიულ მონაწილეობას პღებულობს განათლებული ვერობა!

ეს ისეთი მოვლენაა, რომ არ შეიძლება არ შეაძრწუნოს ყოველი ადამიანის შეგება და სინიღისი.

აი ამ პირობებში გამოჩნდა ქვეყანაშივე საქართველოს სრულ-უფლებიანი მინისტრი ბ. ჩხენკელი, და კრიკაში ჩაუ-დგა რუსეთის წარმომადგენელს ბ. ლიტვინოვს. ჩხენკელმა განაცხადა ენერგიული პროტესტი ასეთი ინტერვენციის წი-ნააღმდეგ, რომელიც ამარგებს ფულითა და იარაღით დამ-ყრობელ სახელმწიფოს, და სპობს და ანადგურებს დაბყრო-ბილ ერთა უფლებას და იმედებს.—მართალია, ნოტა ენერ-გიულია, ეხება ვერობის დიდ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართ ჩვენ გვმართებს მეტი რიდი და მოკრძალება,

სამეფო, ფორმალურად თითქო დამოუკიდებელი, მაგრამ ნამ-დივლად კი აქ იყო გამეფებული რუსეთის პოლიტიკა, ტირა-ნია და თავგასულობა. ტახტზე იჯდა რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ პირველის ძმა, კონსტანტინე, და ვარშავაში იდგა რუსეთის დიდძალი ჯარი... როგორა პგავს ეს მომენტი ჩვენს ისტორიას: თბილისშიდაც იდგა ერთ დროს რუსეთის ჯარი მაშინ, როცა საქართველო ითვლებოდა დამოუკიდებელ სა-ხელმწიფოდ.

პოლონელები ვერ ურიგდებოდნენ ამისთანა დამცი-რებას. მიუხედავად შემორტყმული რკინის რკალისა და უი-მედო მდგომარეობის, მაინც მოწყობილ იქმნა შეთქმულება. მიზანი იყო განდევნა რუსეთის ჯარის და განთავისუფლება პოლონეთისა. გეგმა დაწვრილებით იყო დამუშავებული. სტუდენტების თავგანწირულ რაზმს მიენდო ბელვედერის სასახლის აღება და ცოცხლად შეტყობა მეფე კონსტანტი-ნისი. 29 ნოემბერს 1830 წელს იფეთქა აჯანყებამ. ჯერ გათე-ნებული არ იყო, როცა სტუდენტები თავს დაესხნენ ბელვე-დერის სასახლეს. დაპოუწეს კარები, შეცივდნენ სასახლეში, გაჩრტიეს ყოველი კუთხე, მაგრამ მეფე ვერსად იპოვეს: ის გაქცეული იყო მალეული ხერელით. პირველი აქტი აჯანყე-ბისა ვერ შესრულდა, მაგრამ დანარჩენი ნაწილი გეგმისა ას-რულდა ისე, როგორც ეს წინასწარ გათვალისწინებული იყო.

აღსანიშნავია, რომ შეთქმულება ისე მტკიცედ იყო და-ცული, რომ მას არ აღმოჩენია არც ერთი მოღალატე, არც ერთი ჯამუში; არც ერთი რუსი არ მოელოდა ამ აჯანყებას: რუსის ჯარს მშვიდობიანად ეძინა ყაზარმებში და აფიცრო-ბაც არხენინად იყო... ან დროს ატარებდა საეკუყა ყავახანებში. სტუდენტები ჯერ კიდევ სასახლის ჩხრეკაში იყვნენ, როცა ვარშავის ქუჩებში ატყდა თოფის სროლა. ქუჩები მყის აიშლო მებრძოლ რაზმებით. დაიწყო მედგარი ბრძოლა. მან გასტანა

მაგრამ რას იზამ? «ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა»... ნოტამ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება საერთაშორისო სფეროში და იმედი უნდა ვიქონიოთ, იგი ხელს შეუწყობს ვერობის ცალმხრივ პოლიტიკაში სასურველ გადატეხას.

საქართველოს ელჩის აკ. ჩხენკელის ნოტა,

რომელიც გადასცა ვენევაში ვერობის კავშირის შესახებ კომისიის თავმ. ბ. ბრიანს V-20.

ბატონო პრეზიდენტო!

წლების განმავლობაში ს. ს. რ. კ. ხან თავისი მთავრობის, ხან კიდევ კომინტერნის პირით, ირწმუნება თითქოს ვერეთ წოდებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს განზრახვა პქონდეთ მოა-ხდინონ მის წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენცია. კომინტერ-ნის აღმასკომის მეთორმეტე პლენარული სხდომა იმასაც კი აცხადებდა, «რომ სამხედრო ოპერაციების დასაწყისი დანი-შნულია 1930 წლისათვის, ან არა უგვიანეს 1931-ის». ხოლო ბ. ლიტვინოვმა, ს. ს. რ. კ.-ს საგარეო საქმეთა კომისარმა, ესე-ცაა გაკვირთ მოიხსენია «ვერობის კავშირის შესახებ კო-მისიის» წინაშე «სამხედრო ბლოკი» და თვით სამხედრო თავ-დასხმაც კი.

ზედმეტი იქნებოდა ჩამოგვეთვალა აქ ყველა ის მოტი-ვეები, რომლითაც ხელმძღვანელობს მოსკოვი, როცა დაჟინე-ბით მიუთითებს ამ ვითომდა ინტერვენციაზე. მაგრამ არის ერთი მოსახრება, რომელზედაც მე უნდა მივაპყრა თქვენი აღმატებულების ყურადღება. მოსკოვის მთავრობა ცდილობს დაუმალოს ს. ს. რ. კ.-ის ჩაგრულ ერებს ნამდვილი ინტერვენ-ცია უცხო ძალებისა. მე, რა თქმა უნდა, ვლაპარაკობ იმ მა-ტერიალურ, ტექნიკურ, იტელექტუალურ დახმარებაზე, რო-

მთელი დღე. რუსებმა დაპყარეს უმთავრესი პოზიციები და საღამო ეამს იძულებული იყვნენ დაეცალათ ქალაქი. მაშინა-დვე შედგა დროებითი მთავრობა და დაიწყო მეთოდიური ბრძოლა. ცხრა თვეს იბრძოდა თავგანწირულად პოლონელი ერი, მთელი ქვეყანა შეიღება სისხლით, არ დარჩენილა არც ერთი ქალაქი, არც ერთი დაბა, სადაც რომ არ მომხდარიყო მედგარი ბრძოლა, მაგრამ... რა გაუძლებდა რუსეთიდან მომ-სქდარ აუარებელ ლაშქარს?

«ჩვენი და თქვენი თავისუფლებისათვის», ეწერა ხოლმე პოლონურ ბაირაღებს. პოლონელებს იმედი პქონდათ, რომ ამ ბრძოლას გამოეხმაურებოდა ვერობა, მაგრამ ვერობა სდუმდა, როგორც ეხლა სდუმს იგი საქართველოს შესახებ, და როგორც ეხლა საქართველო, ისე დაამხო მაშინდელი პო-ლონეთი რუსეთის მოზღვავებულმა ველურობამ.

«იციოდეთ, რომ ღმერთმა აგვირჩია ჩვენ, რათა დავამყა-როთ წესიერება ყველა ხალხთა შორის!»—სწერდა მაშინ ნი-კოლოზ პირველი თავის მანიფესტში, ემუქრებოდა საფრან-გეთს და უნდოდა დაესაჯა ბელგია, რომელიც მაშინ თავგან-წირულად იბრძოდა თავისუფლების მოსაპოვებლად. აღსანი-შნავია აზრი და კილო ამ მანიფესტისა. ამოავდეთ იქიდან სიტყვა ღმერთი, და ამ მანიფესტს ეხლანდელი ბოლშევი-კებიც ხელს მოაწერენ. ერთია სული, ერთია მისწრაფება და პრეტენზია: რაღაც უნდა დაამყარონ «ყველა ხალხთა შორის!» ამ ხალხებს კი არ ეკითხებიან, უნდათ თუ არა «წესიერების» თუ ბედნიერების დამყარება, არა, ძალად უნდა აცხონონ! ეს ცხონება კი არის სხვებზე ბატონობა, ბრძანებლობა, ან მოყ-ლედ რომ ვსთქვათ—შუბლმორეცხილი იმპერიალიზმი.

რუსეთი არ გამოცვლილა: ბოლშევიკების სული იგივე ნიკოლოზ პირველის სულია, თუ არა უარესი.

პოლონეთის გამოფენა

ვლახან პარიზში იყო გამართული პოლონეთის გამო-ფენა, სადაც წარმოდგენილი იყო უმთავრესი მომენტები ეროვნული ბრძოლის ამ უკანასკნელ ასი წლის გასწვრივ: 1830 წლიდან 1930 წლამდე.

არ ვიცი, დაიარებოდა თუ არა ქართველი საზოგადოება ამ გამოფენაზე, მაგრამ ეჭვის გარეშეა,—რომ თვით გამოფენა მეტად საყურადღებო იყო, განსაკუთრებით ჩვენთვის, ქართ-ველებსთვის.

პოლონეთი ახალი სახელმწიფოა. იგი აღსდგა მკვდრე-თით დიდი ომის დროს. ხაზი მსოფლიო პოლიტიკის სიმძი-მისა გადაიწია პარიზიდან ვარშავაში, სენის ნაპირებიდან ვისლის ნაპირებზე. კაცობრიობის მომავალი თავის სიმძიმის ერთი ნაწილით ებჯინება ამ ახალგაზდა ერის მხარ-ბეჭს. თუ ის გაიჟყლიტა, შეიძლება გაიჟყლიტოს მთელი ვერობაც და მის ნანგრევების ქვეშ დაიხარხოს ბევრი იმედებიც ეხლა დაჩაგრულ და დამონებული ერებისა. თავისთავად ცხადია, ბრძოლა და თავგადასავალი ასეთი ერის უშრეტე წყაროა მხნეობის და თავგამოდების ყველა დაჩაგრულ ქვეყნებისა-თვის.

რა იყო პოლონეთი ამ ასი წლის წინეთ? ყველამ იცის ის ტრაგედია, რაც განიცადა პოლონეთის ერმა რუსეთის წყა-ლობით. მისი ორგანიზმი იყო გაჩეხილი სამ ნაწილად: ერთი შემოიერთა პრუსიამ, მეორე მისიაკუთრა ავსტრო-უნგრეთმა; მესამე, შედარებით უდიდესი ნაწილი—«პოლონეთის სამეფო»—მოექცა რუსეთის იმპერიის რკალში. მართალია, ეს იყო



ფორტის გარეშე. გ. ნ.), დიდი ხანია ვეძებდით მოკავშირე ძალებს, მაგრამ ეს ძალები მე ვერ ვიპოვე"-ო, სავსებით დამახასიათებელი იყო მთელი იმ პარტიულ ურთიერთობისათვის, რომელიც აქ არსებობს. ამნაირად გამართლდა და პასუხი გაცა ბ. გ. გვაზავას შეკითხვას, ამ ოთხი წლის წინად მიმართულს ბ. სპირ. კედისადმი: «ბარკადების იქით ხარ, თუ აქეთ?» დიან, საქართველოს თავისი «ბარკადები» აქვს ამართული არა მარტო ბოლშევიკებთან საბრძოლველად, არამედ სხვა უცხო ქვეყნის იმ ძალებთანაც, რომელიც საქართველოს საკითხს ყოველთვის ზვარაკად მიიტანენ საქუთარ ინტერესების სამსხვერპლოზე, რაკი მათ არ შესწევთ ის ძალა, რომელსაც წარმოადგენს უფლებრივი კავშირი კულტურულ ერთა შორის. საერთაშორისო უფლების უზრუნველყოფის დროც მალე დადგება და ამ დროისათვის საქართველო აზიის ქვეყნების რიგში კი არ უნდა იდგეს, არამედ რაც შეიძლება ახლოს ევროპის ცივილიზაციასთან. ხოლო სოციალ საკითხებზე შენება აქტუალურ ეროვნულ პოლიტიკის, რომლის საბალო მიზანია, თავისი ეროვნული და დემოკრატიული მისწრაფებებით, სოციალ პრობლემათა სწორ ნიდაგზე დაყენება, დღეს ერთ-დემ. პარტიას არ ძალუძს და არც რომელიმე სხვა პარტიას, რომელიც საერთო ფორტში შედის.

დასასრულ, სასურველი იქნებოდა, რასაკვირველია, რომ ემიგრაციაში აუცილებელი უთანხმოებანი სხვადასხვა ტაქტიკურ საკითხებზე მინიმუმამდე ყოფილიყვეს დაყვანილი. ქართველი ერის «ფორტი» არსებითად დემოკრატიულია: ამიტომ, თუ სხვა დაჯგუფება არსებობს, მისი დებულებანი აუცილებლად შეიცავს ერთგვარ «ანტინომებს», რაც მხოლოდ იმას ამტკიცებს, თუ რამდენად შორსა სდგას იგი ქართულ სინამდვილისაგან. სწორი პოლიტიკური მოქმედება არ არის მარტო ხელისუფლებისათვის პოლიტიკა, არამედ მასთან ერთად წარმოადგენს უფლების პოლიტიკასაც მთელი ერის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით ეროვნულ ინტერესების დასაცავად; ამიტომ ნამდვილი ეროვნულად მორალი ღირსება იქა სძევს, სადაც ეს არის მხედველობაში მიღებული.

ამით შეიძლება ამოწურული ყოფილიყო ამ წერილის შინაარსი, მაგრამ შეუძლებელი იყო კრებზე დამსწრეს თვალში არ სცემოდა ერთი გარემოება: მიუხედავად გარკვეული მდგომარეობისა, ეროვ. დემ. ახალგაზრდობის ერთი ნაწილი მტრულად შეხვდა ბ. ალ. ასათიანის სიტყვებს. ეს არ უნდა იყოს არც ლოიალობა ამ ახალგაზრდობის მხრივ მათი გუშინდელი ხელმძღვანელის მიმართ და არც პარტიული დისციპლინა. ამ სამწუხარო მოვლენას (ზოგადი პარტიული თვალსაზრისით), ადგილი არ ექნებოდა, რომ მას ხელს არ უწყობდეს ერთგვარი პოლიტიკური უნიანობა და დაჩემება, რომელიც, ჩემის აზრით, არასოდეს სწორ ნებისყოფას არ გამოხატავს.

გრ. ნადარეიშვილი.

აღსდგა, გამაგრდა, გამრთელდა მისი დაფლეთილი ეროვნული სხეული. ეხლა ყველამ უწყის, თუ რა როლს პტამაზობს იგი მსოფლიო პოლიტიკაში.

სად უნდა ვეძიოთ მიზეზი ამ სასწაულისა?

პოლონეთის და საქართველოს ისტორიაში ბევრი რამ არის შესადარებელი, მაგრამ ამ შედარებამაც ძალიან არ უნდა გავვიტაცოს. არ უნდა დავგავიწყდეს, რომ პოლონეთის ეროცდაათ მილიონს აღემატება, მაშინ როდესაც ჩვენ სამ მილიონსაც სავსებით ვერ წარმოვადგენთ. სხვა პირობებიც და მოქმედების ზონაც. მაგრამ ერთი რამ ექვის გარეშე: ეროვნული სული, სიყვარული, მხნეობა და თავგამოდება. სულ ეს აუწონარი ძალაა, მაგრამ ისეთი ძალა, რომელიც ატრიალებს ცხოვრებას და ჰქმნის ისტორიას. ამ ძალამ შეჰმოსა პოლონეთი უკვდავების შარავანდედით, ეს ძალა ექცეოდა მას, როგორც «სული წმიდა ექცეოდა წყალთა ზედა შექმნისა ქამს».

ამ ფიქრებში ვიყავ გართული, როცა გამოვედი გამოფენიდან და გავყევი ტიულერის ბაღის ერთ ხეივანს. მაგონებოდა შორი საქართველო, მისი ბრძოლა, მისი შვილები, გაფანტული ოსმალეთში, სპარსეთში, პოლონეთში და ვინ იცის კიდევ სად... და სრულებით მოულოდნელად, არ ვიცი—რად, უეცრად ტუჩებზე მომადგა გურიელის ლექსი:

«არ-რა არის უსაშველო...
«ცმაწვილებო, ალავერდი!

გიორგი ვვაზავა.

გ ლ ე ხ ე ბ ი ს ა ჯ ა ნ ა მ ე ბ ა კ ა ვ კ ა ს ი ა შ ი
(წერილი სპარსეთიდან)

აგონიის ხანაში მყოფი ტირანია კვლავ შეუდგა თავის ნაცად ექსპერიმენტის გატარებას კოლექტივიზაციის სახით, რომლის შედეგებით გასულ წელს კრემლის ვაქტარებმა სამარცხვინო დამარცხება იგემეს. ხუთწლიანი, ციფრებით გაბერილი, გეგმა ითხოვს აუარებელ ხარჯების გაწევას, რომელიც თავიდანვე განწირულათ უნდა ჩაითვალოს, იმ საგრძნობ თანხის მისაღებათ მითიურ დასახულ გეგმის განსახორციელებლათ, ტირანია მიმართავს აუწერელ რეპრესიებს საბჭოთა ტერიტორიაზე მომინადრეთა წინამდევ. ფაბრიკა-ქარხნებში სესხი სესხს მოსდევს. შექმნილი ობლიგაციის დაზურდავების უფლება არავის აქვს, ვინაიდან ასეთი მოქმედება კანონს გარეშე არის გამოცხადებული. გაძვალტყავებული ქარხანა-ფაბრიკის მშრომელი მასსა, რაღაც მოლოდინის წინაშე სდგას, რომ სოფლის გლეხობასთან ერთად შეხვდეს დიად გადატეხის ხანას. იმ აუარებელი თანხის შესავსებლათ, რაც გათვალისწინებულია ხუთ წლიანი გეგმის საწარმოებლად, ტირანია მიმართავს ნაწილობრივად გლეხებისაგან აიღოს და ამ რიგად საწველ ფურად გახადოს იგი. კოლექტივიზაცია მიიღე ტვირთად აწვება გლეხობას, მაგრამ ამ ექსპერიმენტს გაცილებით გრძობს საბჭოთა კავშირში ძალით და ხელოვნურად შეერთებულნი ეროვნებანი სოფლის მეურნეობაში, რომლებსაც თავის განვითარების სტადიაში არ გაუვლიათ მიწის ობზინური დამუშავება. ამ გარდაუვალი კანონით აიხსნება ის გარემოება, რომ კავკასიაში ადგილი აქვს გლეხების აჯანყებას ტირანის წინამდევ, რადგან ამ უკანასკნელის მიერ გატარებული კოლექტივიზაცია ახალ ხილს წარმოადგენს კივკასიის მეურნეობაში. საუკუნოებით ინდივიდუალური ინიციატივით შექმნილი სოფლის მეურნეობა დღეს გავრანების ფაქტის წინაშე სდგას. მესაკუთრე გლეხი თავის ხელით აფუჭებს მამა-პაპურ ვენახს, რათა ამით საშვალევა მოკლებული დარჩეს ტირანია თავის არსებობის გასაგრძელებლად. მას კარგად ესმის თავის ხელით ჩადენილი ბოროტება, მაგრამ მტერს ხომ ნაწილობრივ ვენბას აყენებს. საშინელ სურათს ჰქონდა ადგილი გარე-კახეთში, სადაც მეცხვარეებმა ერთი დამის განმავლობაში მუსრი გაავლეს თავიანთ ცხვრის ფარას და თვითონ. რომ აცდენოდენ ჩეკის ინკვიზიციას ტყეში გაიჭრენ. ასეთი ტყეში გაჭრილ სოფლის მშვიდ მეურნისაგან შესდგება პარტიზანული რაზმები, რომლის შეხვედრა შიშის ზარსა სცემს ადგილობრივ კომუნისტურ რაზმებს. მასიურ გამოსვლებს იდგილი აქვს გარე-კახეთში და აზერბეიჯანში, სადაც ქართველები აზერბეიჯანელებთან ერთად ებრძვიან საერთო მტერს. ამ უკანასკნელ ხანებში ასეთ გამოსვლებს ადგილი აქვს ჩრდილო კავკასიაში. ამ რიგათ ინთება აჯანყების ცეცხლი, რომლის უთანასწორო ბრძოლაში იწვება გუშინდელი სოფლის მეურნე და დღეს პარტიზანის სახელოვანი მებრძოლის სახელის მატარებელი. ამ უკანასკნელ დაწყებული მასიური აჯანყებები აფიქრებებს კრემლის ვაქტარებს, რომ საქმე აქვთ ხალხის სურვილის გარდაუვალ მოთხოვნილებასთან და მიმართეს ხალხის გაწმენდას. ყოველ სოფელში დგება გამწმენდავი კომისია, სადაც შედიან ადგილობრივი კომუნისტები ან კიდევ კომსომოლები, რომელსაც თავმჯდომარეობს ქალაქიდან მოვლინებული პირწავარდნილი კომუნისტი დამკვრელის სახით. სოფლის გლეხობა რიგ-რიგობით ტარდება ზემოხსენებულ კომისიაში, სადაც მათ აძლევენ ფორმალურ შეკითხვებს, რომლის განაჩენი წინაწინვე გამოტანილია. კულაკათ ცნობილი გლეხი ემშვიდობება თავის საკუთრებას და იდევნება მის მშობლიურ კუთხიდან. ასეთი გამწმენდი კომისიისაგან ქუჩაში გამოყრილი გლეხები ეშვლონებით იგზავნება რუსეთის მიყრუებულ კუთხეებში. ხდება დაუსრულებელი გადასახლება «კულაკების» ერთ ადგილიდან მეორეზე. ასე მაგალითად არაქსზე მდებარე ნახიჩევანში თავი მოუყრია აუარებელ რუსს გლეხობას, რომლებიც აუწერელ გაჭირვებას განიცდიან. ასეთ გადასახლებული გლეხობისაგან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან სანაპირო რაზმის ნაწილები, რომლის შემადგენლობის ასი პროცენტი რუსებია, ვინაიდან საზღვრის დაცვას არ ანდობენ ნაციონალურ ჯარს, რომლებსაც ევალება საზღვარის დაცვა, ეს ჯარისკაცები ხვდებიან აქ თავიანთ სოფლის გლეხებს, რომლებსაც ისინი იცნობდენ და მათ სოფელში გაუტარებიათ დრო, სანამ ჯარში იქნებოდნენ გაწვეული. ეს წითელ არმიელები ხომ გლეხების შვილები არიან, მის წიაღიდან გამოსულნი და ესენი რომ ხედავენ კულაკების სახით სოფლის მშრომელ გლეხობას,

გული ბოლმით ევსებათ, თუმცა ჯერჯერობით სწავლიან ალღეება ფარულ ფორმებში ტარდება. იწყებენ მსხვერპლთა მათი ყაზარმებში, რომელიც არ ეპარება პოლიტხელებს და მათ ჯაშუშებს, რის შედეგათ ხდება ამა თუ იმ წითელარმიელის ქურდულათ მოპარვა, რომლის შესახებ დარჩენილი ამხანაგები იგებენ მეორე დილას. ასეთია დღეს დღეობით ჯარში მდგომარეობა. წითელ არმიის სიმპატია მებრძოლ გლეხობის სასარგებლოთ დღითი დღე იზრდება და შორს არ არის ას ბრწყინვალე ხანა, რომ წითელი არმია გვერდში ამოუდგეს მისი სისხლი და ხორციით მონათესავე წამებულ მშრომელთა მასას. საუბედურათ არც მტერს სძინავს. მიღებულ ცნობების თანახმად, ჯარისკაცებს ეკრძალებათ იქონიონ რაიმე კავშირი გადასახლებულ «კულაკებთან». მიუხედავათ ამისა, ერთჯერ აღძრული სიმპატია ვითარდება გეომეტრიული პროგრესიით, რომელსაც ადასტურებენ შემდეგი მაგალითები: არის ყოველდღიური შემთხვევა ლტოლვილების რამდენიმე ათეული ოჯახის გადმოსვლა საზღვარზე თავიანთ ავეჯეულობით, რომელიც საეჭვოა რომ არ იცოდეს სანაპირო რაზმმა, მაგრამ გზას აძლევს, რათა გადაარჩინოს ფიზიკურ განადგურებას. ასე შეიძლება შემოიფარგლოს არსებული მდგომარეობა კავკასიაში. ყოველი დღე ახალი ცნობის მაუწყებელია და ჩვენ მზათ უნდა ვიყოთ შესაფერად შესახვედრათ. გადმოსულები თავს იყრიან სპარსეთის მიწაწყალზე. მათი გაჭირვებული მდგომარეობა თავის განვითარების აპოკაიას უახლოვდება. სპარსეთის ხელისუფლება გადმომწვილებს ასამართლებს, რომლის შედეგად გამოაქვთ ჯარიმა რამდენიმე ათეული სპარსული თუმანის რაოდენობით, ან კიდევ დატუსალება 8 დღიდან სამ თვემდე. თანახმად ახლად გამოქვეყნებულ კანონისა, ვისაც არ ექნება პასპორტი უნდა დასტოვოს სპარსეთის ტერიტორია სულ მოკლე ხანში ან კიდევ უნდა იქნეს დაბრუნებული, საიდანაც გადმოსულან. ბედისაგან განწირულნი ლტოლვილები უნდა გადაეცეს ბოლშევიკ ჯალათებს, რომლების მიერ დახვრეტილი იქნებიან საზღვარზე გადაყვანისას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მეშვიდის მხარეზე. დახვრეტა დღეს ტირანის სამეფოში ყოველ დღიურ მოვლენად გადაიქცა, რათა შიშის ზარი დასცეს გადმოსასვლელად გამზადებულ ლტოლვილებს. საერთაშორისო უფლების ელემენტარულ საფუძველს მოკლებულია სპარსეთის ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებული კანონი, რომელიც არსებითად მიმართულია ლტოლვილების წინამდევ. კულტურულმა კაცობრიობამ უნდა აღიმოლოს ხმა ამის შესახებ, რათა ლტოლვილნი არ იქნან გადაცემულნი ტირანებს დასახვრეტად. ნუ თუ აქამდე ვერ მოალწევს ნანსენის კომისიის მზრუნველობა? ერთა ლიგამ წმინდათა წმინდათ უნდა შეასრულოს, როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარმა დაწესებულებამ, თავის დანიშნულება დაჩაგრულების წინაშე საქმიანი ჩარევით და მიუთითოს მის სრულუფლებიან წევრს სპარსეთს უკანონო მოქმედებაზე. თავის მხრივ სპარსეთმა უნდა მიიღოს მხედველობაში კავკასიის ერების მნიშვნელობა იმ რეფორმის გატარებაში, რომლის მოწმენი ვართ დღევანდელი განახლებული სპარსეთის. განა ჩვენი ერის საუკეთესო შვილები არ ამკობენ დღეს ქ. თავრიზის ძმათა სასაფლაოს, რომლებმაც თავი შესწირეს მის გამათავისუფლებელ მოძრაობას? განა სოფ. ზუნუზში ერთ-ერთ მთის თითქოს განგებ საჩვენებელ ადგილზე არ არის დამარხული ცხრა რევოლიუციონერი ქართველი, რომელსაც დღეს ოცდა ხუთი წლის ტრალიკულ სიკვდილის შემდეგ მოწიწებით იხსენიებენ სოფ. ზუნუზის გლეხობა?

ვინ მოსთვლის თუ რამდენი ასეთი უსახელო საფლავები მოიპოვება ვეებერთელა სპარსეთის ამა თუ იმ კუთხეში. კავკასიის ერთა სურვილი—კავკასიის კონფედერაცია, რომლისათვის იბრძვის კავკასიის ხალხი აუარებელი სიცოცხლის გაღებით იქნება განახლებულ სპარსეთსა და რუსეთს შორის გარდაუვალი ბარიერი და თუ ამას დაუმატებთ კავკასიის ეკონომიურ მდგომარეობას, სპარსეთმა უნდა დაიცვას ელემენტალური კაცმყოფარეობა თავიანთ მეზობლების ლტოლვილების მიმართ. რათა ბრძოლიდან გამარჯვებული სიამოვნებით მოვიგონოთ მათი სტუმართმოყვარეობა ლტოლვილობის დროს გატარებული ჩვენი მოძმე სპარსელებისა.

ოთარი.

სპარსეთი, 1931 წელი.



ს ს ო რ ტ ი დ ა „ შ ე ვ ა რ დ ე ნ ი “

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის მოვლენა, რომელმაც არამც თუ არ ალაპარაკა, მთლიანად დაიპყრო მთელი მსოფლიო. ეს ადამიანთა ფიზიკურად განვითარებაა. სსორტი შეიქმნა ადამიანის კერძო ცხოვრებაშიც. თუ წინათ ზოგიერთებისათვის მიუღებელი იყო, დღეს, პირიქით, მიღებული და საჭიროც არის. რამდენათ საყურადღებო საგანია ეს ყველამ ვიცით. მე მსურს შევეხე პირადად ქართველებს და საქართველოს, რომლის ნიჭი უდავოა ამ დარგში. ჩვენ გვახსოვს თავისუფალი ჩვენი სამშობლო და სილამაზე მაშინდელი შავარდენისა. დროთა ცვლილებამ წააგდო ჩვენი ქვეყანა და შვევარდენის სიხმრათ გადიქცა. მის მოტრფილეთათვის დაიწყო ყველაზე საშინელი დრო. ქართველი ახალგაზდა სსორტსმენი, პატრიოტი გულის სიღრმემდე, ექვს გარეშე ვერ შეურთდა კომუნისტების დამქაშობას. ერი, სამშობლოს თავისუფლება. მისდამი გატაცება სისულელეა გაჰკიდონ ისინი ვინც სამშობლო პირად მდგომარეობაზე გაყიდა და ვაი იმათ ვინც მათ კვერს არ დაუტრავდა.

დაარსდა სსორტი, რომელთა რიგები სავესე იყო საეჭვო პირებით და შავარდენის პირში შვილებმა სამუდამოთ ჩაიქნიეს ხელი თავის საყვარელ საქმეზე. ერთად ერთი გატაცება ქართველ ახალგაზდათა უმრავლესობის ეს ფეხბურთი იყო. რატომ?

უამრავი გუნდები იყო. რომელთა შემადგენლობა ეროვნების მხრივ განირჩეოდა: რუსების, სომხების, თათრების და ქართველების. აი აქ შეცდა საბჭოთა მთავრობა. გუნდების ასეთმა ეროვნულმა გარჩევამ ქართველ ხალხს და მოთამაშეებს თავისი დალი დაასვა. თვითეული შეჯიბრი ეს ეროვნული გამოსვლა იყო. არ შეიძლება დუმილით შეხედო იმ ლამაზს და ღირს შესანიშნავ გუნდებს, რომელთა თავდადებულმა განწირულმა ბრძოლამ ქართველებს პირველობა შეანარჩუნა. ეს იყო ჯერ ქართული სამხედრო გუნდი, ქართული დივიზია. (ანუ გრუნდივიზია), ანუ კიდევ მეტად საყვარელი ქართველ საზოგადოების ემბლემა «დორუჯი».

ქართულმა დივიზიამ 1922 წლიდან 1924 წლამდე ღირსეულად იბრძოლა მოწინააღმდეგე გუნდებთან. ამ ხნის განმავლობაში პირველობა მათ ხელში იყო. 1924 წლის დამლევს ეს გუნდი დაშალეს. ფეხბურთი ამასობაში საზოგადოების ერთ-ერთი საყვარელი საყურებელი სსორტი გახდა. ქართველი ხალხი დაღონდა. უიმედოთ უყურებდა ახალ ქართულ გუნდს «დურუჯს», რომელთა უმეტესობა ჯერ კიდევ მოსწავლენი და უპრაქტიკონი იყვნენ, მაგრამ რუსთაველის კორპორაციამ, იგივე «დურუჯმა» იშვილა ორი ახალი გუნდი და ამასაც «დურუჯი» დაარქვა. ამავე დროს არსდება ძველი მოთამაშეებისაგან სხვადასხვა ეროვნების გუნდი «დინამო», რომლის ბატონ-პატრონი გეპეუ (ანუ ჩეკა) იყო.

თვითეული შეჯიბრის აღწერა შორს წაგვიყვანდა. საკმარისია მარტო ერთი თქმა: 1924 წლიდან 1926 წლამდე «დურუჯს» პირველობა ვერ წაგლიჯეს. დაბოლო შეჯიბრი ეს ქართველ ხალხის დემონსტრაციით გადაიქცა. ხალხიც, მოთამაშეებიც აღარ მალავდნენ ეროვნულ გრძობას. უკანასკნელმა შეჯიბრმა ამოანთხევინა ქართველ ხალხს დაგროვილი ნაციონალური გრძობა. მათმა ასეთმა თავგანწირვამ უნაყოფოდ არ ჩაიარა და მოწინააღმდეგესთან შედარებით ახალგაზდა «დურუჯი» მთელი თამაშის პროცესში თავს ესხმოდა მოწინააღმდეგის კარებს. «დინამოს» წრის გარღვევა, თვითეული ბურთის მათ კარებში შეტანა, ხალხის საშინელი ყვირილით და დაუსრულებელი ტაშით ხდებოდა. შეჯიბრი საშინელი დამარცხებით დამთავრდა და სამარცხვინოთ «დინამოსათვის». «დურუჯმა» მოიგო ოთხით—ხეროზე. ქართველ ხალხის ტემპერამენტმა, მისმა ასეთმა სიყვარულმა «დურუჯისადმი» «დურუჯს» კატასტროფა მოუშნადა. ბოლშევიკებმა «დურუჯიც» დაშალეს და მით სამუდამოთ მოჰკლეს მაყურებელის და მოთამაშენის გულიც. შვევარდენიც და დურუჯიც ქართველ ერის გულიდან იყო ამოგლეჯილი, ხალხმაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია მათ. ამით აიხსნება მათი თავგანწირული მუშაობა და გამარჯვებანი. ხალხმა შთაუწერა, შთაბერა ხალხის და ენერჯია. ასე რომ მათი გამარჯვება მარტო მათ არ ეკუთვნოდა. ამავე დროს ეს იყო ქართველი ხალხის გამარჯვებაც.

ჩვენს, ემიგრანტულ ძნელ და მძიმე პირობებში მართლაც დიდი ენერჯია იყო საჭირო და დიდი მადლობის ღირსი არიან, ვინც საფრანგეთში შვევარდენი დაარსა. მაგრამ საკვირველობას საზღვარი არ აქვს. დაწყებისას თითქმის ჩვენი საზოგადოება მოწადინებით შეხვდა. ამ ქამად კი არამც თუ

მაყურებელი, თვით მოვარჯიშენიც კი სისტემატიურად არ ესწრებიან მაცადინებობას. მაგრამ ნუ გავმართავთ სამჯავროს. სათქმელი ბევრია, როგორც საზოგადოების, ისე მოვარჯიშეებისადმი. საზოგადოება მოვალეა ხელი შეუწყოს ყოველი მხრივ ამ დიდ საქმეს, როგორც მატერიალურათ, ისე მორალურათ. მოვარჯიშეების სისტემატიური დასწრება, დისციპლინისადმი მეტი ყურადღება, ექვს გარეშეა დიდად წასწევდა წინ შვევარდენის საქმეს. საკმარისია მარტო ისიც, რომ ჩვენმა ქალებმა, ცოტა ხნის ვარჯიშობის შემდეგ, სამჯერ გაიმარჯვეს კალათ ბურთის შეჯიბრებაში.

ჩვენი ქალები ღირსეული წევრნი აღმოჩნდნენ შვევარდენის.

შვევარდენის მუშაობის ირგლივ გამგეობის საყურადღებოთ უნდა ითქვას ორიოდ სიტყვა. ვარჯიშობის სისტემა მეტათ გამოუსადეგარი და პრიმიტიულია. შვევარდენის ყველა დარგში აღსანიშნავია კალათ ბურთის გუნდები. ეს ნაწილი სსორტის ჩვენთვის მისაღებია და თუ რომელიმე დარგში გვექნება მიღწევა—ეს კალათ ბურთში. გასაქანი ძალიან ცოტაა რაც დრო გვაქვს ამასაც არა სწორ ვარჯიშს ვანდომებთ. საჭიროა განსაკუთრებული სისტემა, კანონიერი თამაში, მეტი დრო ვარჯიშობისათვის, გამოსვლების მოწყობა შეჯიბრების სახით და ბოლოს ქალების ფორმის გამოცვლა, რომელიც მეტად უხერხული და ულამაზაა.

ეს ყველაფერი წვრილანია, რასაკვირველია, და ავღნიშნეთ ჩვენი შვევარდენის საკეთილდღეოთ.

ვიმედოვნებთ რომ ჩვენი საზოგადოება არ მისცემს საშვალებას რათა უკვე დაწყებული საქმე დაინგრეს, რისთვისაც, ექვი არაა. შესაფერ წველილსაც გაიღებს.

დამრჩა ყველაზე მტკივანი საკითხი და ჩვენი შვევარდენის დარგი ფეხბურთი, რომელიც შვევარდენზე ადრე დაარსდა. ერთ ხანს მშვენიერათ მიდიოდა საქმე. ამ ქამად კი ეს ყველასაგან მივიწყებულია. ფეხბურთი ითხოვს ყველაზე მეტ მოვლას და თუ მისდამი ოდნავ ყურადღებას მაინც გამოვიჩენთ ისიც საკმარისია. გუნდი მოთამაშეებით მიდიარია, უმეტესობა ენერჯიულათ მოწადინებული არიან, მათი შეჯიბრი მეტად ძნელ პირობებში ხდებოდა. მიუხედავათ ამისა ის აქამდე არსებობს და ეს უნდა მიეწეროს, უმთავრესად, ბ. არჩილ ზურაბიშვილის ენერჯიულ შრომას. იმედი უნდა ვიქონიოთ რომ ჩვენი საზოგადოება გამოუჩნახავს სახსარს ამ ფრიად სასარგებლო დარგს.

შვევარდენის და მისი დარგების ყოფნა არყოფნის საკითხი ქართველი საზოგადოების ხელშია. რუსებს, სომხებს და მრავალ სხვებს სსორტი თავის სიმაღლეზე ჰყავთ დაყენებული. ნუ გავხდებით ჩვენ სხვის ყბად ასაღებად.

შ. გედევანი.

ვ ა რ ი ზ შ ი

27 ივნის, ჩვენი დაუვიწყარი გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნის აღსანიშნად, გამართულ იქმნა საღამო მუხე-სოსიოლის დარბაზში, საქართველოს მინისტრის აკ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით. ქაქუცას სურათი, მორთული ცოცხალი ყვავილებით, ამკობდა ესტრადას. ელენე მამულაიშვილმა, ილ. დადიშქელიანმა, შ. ამირჯიბმა და შ. ნებიერიძემ წარმოსთქვეს სიტყვა. მოიგონეს სხვადასხვა ეპიზოდები იმ გმირული ბრძოლის, რომელსაც აწარმოებდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი შემოჭრილ მტერთა წინააღმდეგ, და ცოცხლად გადაშალეს დამსწრე საზოგადოების წინაშე მისი ხანმოკლე მაგრამ სახელოვანი სიცოცხლე. სავესე ტრალიკული განცდით და ამალბებული სულისკვეთებით. მსურვალე სიტყვა წარმოსთქვა საფრანგეთის გენერალურ შტაბის ოფიცერმა ლუი კოკემ. ეს სიტყვა თითქმის სავესებით დაიბეჭდებოდა უზრუნალ «პრომეთეში».

ამ საღამოზე დაარსდა აგრეთვე ქაქუცას სახელობის ფონდი.

მეორე დღეს, 28 ივნისს, სენტ-უენის სასაფლაოზე, სადაც დამარხებულია დროებით ქაქუცა ჩოლოყაშვილი, გადახდილ იქმნა პანაშვიდი ბერი გრიგოლ ფერაძის მიერ.

როგორც საღამოს, ისე პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო.

კვირას, ივნისის 14, ბანპიეს სასაფლაოზე მრავალი საზოგადოების თანადასწრებით გადახდილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი ნ. რამიშვილის დაღუპვის ექვსი თვის თა-

ვზე. განსვენებულის საფლავი მრავალი წელიწადი უცვლელი იყო შემკული. სიტყვა წარმოსთქვა ს. მანუჩარაშვილის მიერ.

კვირას ივნისის 21 პერლაშენის სასაფლაოზე გადახდილი იყო სამოქალაქო პანაშვიდი დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის კარლო ჩხეიძის ხსოვნის პატივსაცემლად, მისი გარდაცვალების ხუთი წლის შესრულების გამო. განსვენებულის საფლავის გარშემო დიდძალი საზოგადოებამ მოიყარა თავი. სიტყვა წარმოსთქვა დ. შარაშიძემ.

ბიზანტიურ ხელფენების გამოცვლა.

ამ ქამად პარიზში დეკორატულ ხელოვნებათა მუხეუმის Marsan-ის პავილიონში (ლუვრი) გამართულია ბიზანტიურ ხელოვნების გამოფენა, რომელიც გაგრძელდება ივნისის 9-დღე. თავმოყრილია დედამიწის ყოველი კუთხიდან ბიზანტიურ ხელოვნების სხვადასხვა დარგის საუცხოო ნიმუშები, რომელთაც აღტაცებასა და განცვიფრებაში მოყავს მნახველები. სხვათა შორის უყურადღებოთ არაა დატოვებული ბიზანტიური ხელოვნების განვითარება საქართველოში. სამწუხაროთ გამოფენაზე არაა ქართული მხატვრული შემოქმედების დედნები, რომლებიც უთუოდ დიდს ყურადღებას მიიქცევენ. გამოფენილია მხოლოდ საპატიო ადგილზე ორმოცამდე დიდი ფოტოგრაფია ქართული ხუროთმოძღვრების და მხატვრობის, რომლებიც მიაწოდა გამოფენის მოწყობთ, მათის თხოვნით, ბ. ექ. თაყაიშვილმა, და რომლებიც დიდს შთაბეჭდილებას ახდენენ ხელოვნების მოყვარულებზე. გამოფენის კატალოგში ვრცლად არის აღნიშნული ექ. თაყაიშვილის დიდი ღვაწლი ქართული ნაშთების შეგროვებისა და შესწავლისათვის.

ქართული წარმოდგენა.

ბ-ნ შალვა ნებიერიძის რეჟისორობით ივნისის 4-ს წარმოდგენილ იქნა აკ. წერეთლის «პატარა კახი». წარმოდგენის დაწყებამდე ბ-ნმა ვიკ. ნოზაძემ აღნიშნა სათეატრო ასპარეზზე მუშაობის დაწყების მნიშვნელობა, ხაზი გაუსვა დაბრკოლებათ და სთხოვა საზოგადოებას აქტიური დახმარება პიესა შესრულებულ იქნა თითქმის უნაკლოდ. «პატარა კახის» ამ შევნიერი თამაშით საზოგადოება მეტად კმაყოფილი დარჩა და მოლოცვები (ოვაციებს გარდა) მეტად მეგობრული და სიყვარულით აღსავსე იყო.

პიესის დასრულების შემდეგ ბ-ნმა ზალდასტანიშვილმა და ბადურაშვილმა იმდერეს მშვენიერად დუეტით.

მთელი ეს საღამო იყო მცირე და გულწრფელი ზემი ქართული კულტურისა.

შ ე ვ ა რ დ ე ნ ი .

ივნისის 19-ს ახალგაზდების სსორტულმა საზოგადოებამ გამართა ვარჯიშობის საღამო, რომელსაც მრავალი საზოგადოება დაესწრო.

«შვევარდენის» წევრებმა—ქალების დასმა ცალკე, ვაქებისამ ცალკე გვიჩვენა თავისი სსორტული მიღწევანი, როგორც თავისუფალ ვარჯიშობაში, ისე ბურთაობაში. მოხდა შეჯიბრება ფრანგულ დასებთან და ამ სავარჯიშო ბრძოლამ ისე გაიტაცა საზოგადოება, რომ არც ერთ მოქიშვე მხარეს ტაში არ დაჰკლებია.

მეტად სასიამოვნო იყო ეს საღამო, და ერთი იმ საბუთთაგანი, რომ ჩვენი ახალგაზდობის ერთი მოზრდილი ნაწილი შეგნებულად ეკიდება ამ საქმეს და ცდილობს გამოაცოცხლოს საქართველოში დაღუპული ქართული «შვევარდენი» უცხოეთში.

Rédaction et Administration
Paris (VI)^e, 3, rue du Sabot
GEORGES GVAZAWA.

Imprimerie « La Gazette de S.-E.O. » — Arpaçon
Gérant : G. MALLET.